



აუდიტორი ფირმა შ.პ.ს. მებაჟიდი

№ 07

20.03.2018წ.

აუდიტორული დასკვნა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. მაწიმის საჯარო სკოლის (ს/კ 233137735) სარგებლობაში რიცხული შენობა-ნაგებობების (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ყოფილი სასაწყობო მეურნეობის შენობა №5 და საქვების შენობა №2; საკადასტრო კოდი № 54.02.51.242.) ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, მისი ვარგისიანობის და დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი მასალების საორიენტაციო საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ.

აუდიტორი ფირმა შ.პ.ს. „მებაჟიდი“-ს მიერ (ს/ნ 233119372; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიჭებული აუდიტორული ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-112045, აუდიტორის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-125365) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. მაწიმის საჯარო სკოლის დირექტორის გიორგი სახვაძის 13.03.2018წლის №MES 9 18 00279652 მომართვის საფუძველზე შესწავლილი და საორიენტაციოდ განსაზღვრული იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. მაწიმის საჯარო სკოლის სარგებლობაში რიცხული შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, მისი ვარგისიანობის და დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი მასალების საორიენტაციო საშუალო საბაზრო ღირებულება.

დადგინდა;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ობიექტების ადგილზე დათვალიერების შედეგად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმის საჯარო სკოლის სარგებლობაში რიცხული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა და დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი მასალების რაოდენობა და სავარაუდო საორიენტაციო საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილი ცხრილების შესაბამისად;

ცხრილი №1.

№	დასახელება	ობიექტის აღწერა
1	2	3
1	შენობა-ნაგებობა №5 (სასაწყობო მეურნეობის შენობა)	დღეის მდგომარეობით შენობა დანგრეულია და ექსპლოატაციისთვის გამოუყენებელი. ექვემდებარება ჩამოწერას. განაშენიანების სავარაუდო ფართობი შეადგენს – 200 კვ.მ.
2	შენობა-ნაგებობა №2 (საქვებზე)	დღეის მდგომარეობით შენობა ნაწილობრივ დანგრეულია და ექსპლოატაციისთვის გამოუყენებელი. ექვემდებარება ჩამოწერას. განაშენიანების სავარაუდო ფართობი – 60 კვ.მ.

ცხრილი №2.

მისაღები ვარგისი მასალების საორიენტაციო რაოდენობა და საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ.საბაზრო ღირებულება	სულ
1	2	3	4	5	6
1	ბეტონის საკედლე ბლოკი(დიდი-3*1.8)	ცალი	11	250	2750
2	ბეტონის საკედლე ბლოკი (პატარა- 3*1.0)	ცალი	6	200	1200
3	რკინა-ბეტონის გადახურვის ფილა ე.წ „სინკარი“ (6x1,6)	ცალი	7	300	2100
	სულ				6050

ცხრილი №3.

სადემონტაჟო სამუშაოებზე გასაწევი ხარჯების საორიენტაციო მოცულობა და საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილი გაანგარიშების მიხედვით.

№	საფუძველი	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6	7
1	46-77 46-83	შენობა ნაგებობების არსებული კედლების და საძირკვლის დაშლა	კუბ./მ.	50	30	1500
2	საბაზრო	რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟი(6*1.6) ა/აშწის გამოყენებით.	ცალი	7	60	420
3	საბაზრო	ბეტონის საკედლე ბლოკის დემონტაჟი ა/აშწის გამოყენებით.	ცალი	11	50	550
4	საბაზრო	ბეტონის საკედლე ბლოკის დემონტაჟი (პატარა) ა/აშწის გამოყენებით.	ცალი	6	30	180
5	ღ1-2	ტერიტორიაზე არსებული და შენობა-ნაგებობების დაშლის შედეგად მიღებული ნაგვის დატვირთვა	კუბ./მ.	60	2.4	144
6	სრფ -15	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება 2კმ. მანძილზე	ტ.	90	1.94	175
	სულ					2969

ზემოთმოყვანილი ცხრილების მიხედვით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმის საჯარო სკოლის სარგებლობაში რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟიდან მისაღები მეორადი მასალების რეალიზაციიდან საორიენტაციო შემოსავალად განისაზღვრა 6050 (ექვსიათასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

სადემონტაჟო სამუშაოებზე საორიენტაციოდ გასაწევია 2969 (ორიათასცხრაასსამოცდაცხრა) ლარის ოდენობის ხარჯი.

აქედან გამომდინარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. მაწიმის საჯარო სკოლის სარგებლობაში რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟიდან, გასაწევი ხარჯების გათვალისწინებით მისაღები შემოსავალი საორიენტაციოდ განისაზღვრა 3081 (სამიათასოთხმოცდაერთი) ლარის ოდენობით. (6050 -2969).

რაც შეიძლება გამოყენებული იქნას აუქციონზე საწყის გასაყიდ ფასად.

მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისთვის. — შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებაზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და ღირებულებაზე.

დირექტორი:

/მ.ტაბატაძე/

აუდიტი:

/ა.ლობჯანიძე/

